ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 26

ქ. ცაგერი 30 მაისი 2011 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ' საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის საფუძველზე, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეისწავლა, საკრებულოს წევრთა მიერ მათი სტატუსიდან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საკრებულოს წევრთა აბსოლიტური უმრავლესობა ძირთადად იცავს საქართველოს კანონმდებლობის და საკრებულოს დებულებით განსაზღვრულ მოვალეობებსა და უფლებებს. უნდა აღინიშნოს, რომ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებისას ისინი არ არიან შეზღუდულნი ამომრჩევლებისა და მათი წარმდგენი პოლიტიკური პარტიების განაწესებითა და დავალებებით. არ ყოფილა რაიმე შემთხვევა, რომ საკრებულოს რომელიმე წევრმა თავისი უფლებამოსილება გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის. მკაცრად იცავენ რეგლამენტითა და საკრებულოს წევრის „ეთიკის კოდექსით" დადგენილი ქცევის სტანდარტებს. ამასთან ერთად შემოწმების პერიოდში არ დაფიქსირდა მათი საქმიანობა და მოვალეობების შესრულების რაიმე ხელისშემშლელი პიროვნებები.

გასათვალისიწნებელია ის გარრემოება, რომ მკვეთრად შემცირდა კომისიებსა და საკრებულოს სხდომებზე არასაპატიო მიზეზით საკრებულოს წევრთა გამოუცხადებლობის ფაქტები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) მოთხოვნათა დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

1. რეკომენდაცია მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს მკაცრად დაიცვან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 32-ე მუხლში არსებული მოთხოვნები საკრებულოს წევრის სტატუსის, საკრებულოს წევრის მოვალეობების, უფლებების, საქმიანობის და ეთიკის წესების დაცვის შესახებ.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების 32-ე მუხლის მოთხოვნათა შესრულების მიზნით დაევალოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიას (დ. მამარდაშვილი) კონტროლი დაამყაროს საკრებულოს წევრთა მიერ კანონების დაცვასა და

რეგლამენტით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულების საქმეში და ამ მიმართებით გამოვლენილი ყოველი შემთხვევა გახადონ კომისიის მსჯელობის საგნად.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს და ძალაში შევიდეს რეგლამენტით გათვალისიწინებულ ვადებში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა ლეთოდიანი

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის

დ. მამარდაშვილი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია, საკრებულოს სხდომაზე შემოდის ინიციატივით, რომელიც ეხება საკითხს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მოთხოვნათა დაცვა არსებული მდგომარეობის გათვალისიწნებით.
საკითხის შესწავლას, კომისიის სხდომაზე განხილვის და შემდეგ საკრებულოს სხდომაზე პროეტის განსახილველად გამოტანის საფუძველია, ამ კომისიის მე-2 კვარტლის აპრილის თვეში სამუსაო გეგმით გათვალისიწნებული ძირითადი სამოქმედო პროგრამა, რომელიც მოიცავს საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 32-ე მუხლის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფას და ამ კუთხით საკრებულოს წევრთა სამიანობის გაუმჯობესებას.

საკრებულოს წევრთა მიერ სადეპუტატო ფუნქციის შესრულების, მათი უფლებამოსილების, საქმიანობის წესის, პასუხიმგებლობის და ეთიკის ნორმების დაცვის თვალსაზრისით გაწეული მუშაობა და არსებული მდგომარეობა ასახულია წინამდებარე პროექტის პრიამბულის, პროექტის ძირითად ნაწილსა და განკარგულებაში.

პროეტის ინიციატორის კომისიის თავმჯდომარე (დ. მამარდაშვილი) და კომისიის წევრები. პროექტის შესწავლასა და მომზადებაში მონაწილეობდა საკრებულოს აპარატის სპეციალისტები.

დ. მამარდაშვილი

კომისიის თავმ,ჯდომარე

30.05.2011წ.